

**ტოპონიმ „ჭახათის“
ეტიმოლოგიისათვის
ETYMOLOGY
OF PLACE NAME “ČAĦATA”**

მაია მიქაუტაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი. საქართველო

Maia Mikautadze

Akaki Tsereteli State University
Kutaisi.Georgia

ABSTRACT

Čaĥata refers to one of the neighborhoods of Kutaisi. There are different versions of scholarly etymology for the čaĥata toponym: 1. čaĥata is a compound word: mčaĥe (“booming, piercing voice”), + mta (“mountain”). Over time, the “čaĥata” version has been formed through their phonetic alteration; 2. čaĥata means “unripe fruit”.

Currently, there is no other meaning of čaĥata attested in Imeretian.

Cf. čaĥata in Imerkhebian means “firewood stacked on top of each other”; the same is true of čaĥadi in upper Adjaran dialect; čaĥati is a village name in Adjara.

According to the explanatory etymological dictionary of the Georgian toponyms, the word čaġd-i “a sajene of wood (i.e. a pile, a fathom long, wide, and high)”, known in Mokhebian and Mtiuletian, is considered to be the basis for the čaĥtqari form.

The root čaĥ-, to which the plural suffix -ta is added, seems to be basic for the above-discussed word forms. Supposedly, on the one hand, as a result of dissimilation čaĥta > čaġta; the suffix -ta has merged with the root, and čaġd-i that has been obtained through assimilation is considered to be a whole morpheme, which is confirmed by the čaġdebi form.

On the other hand, čaxata has been obtained through the dissimilation and insertion of the a vowel: čaĥ-ta > čaĥta > čaĥata.

According to Sulkhan-Saba Orbeliani, caĥi// čaĥi - “a bunch of dry reed stems”. We believe, those who lived near čaĥata used to stack firewood in the forest in the summer, later skidding the firewood downhill on the snow in the winter. čaĥebi // caĥebi were also used for binding and skidding. It could be noted that it was an area placed on čaĥebi, with wood bound with čaĥebi or čaĥta //caĥta, that served as a basis for the čaĥata toponym.

საკვანძო სიტყვები: ქართული ლექსიკა, ტოპონიმია, ჭახათა, სიტყვის ეტიმოლოგია.

Keywords: Georgian vocabulary, toponymy, čaxata, word etymology.

ჭახათა ქუთაისის ერთ-ერთი განაპირა უბანია; ასე ჰქვია ქალაქის მარცხენა ნაწილში, საფიჩხიდან მოწამეთამდე მდებარე ადგილს, რომლის-თვისაც დამახასიათებელია ვიწრო და ოღრო-ჩოღრო ქუჩები. დღევანდელი „ჭახათა“ (დავით კლდიაშვილის ქუჩა) ადრე ზედა საფიჩხიად იწოდებოდა.

ჭახათა პალეოლითური ხანის ნამოსახლარია, ხუთი ლითოლოგიური ფენითა და აურაცხელი არქეოლოგიური მასალით. ჭახათაში ამავე სახელობის მღვიმეცაა, რომელიც მდინარე წყალწითელას ნაპირზე, თბილისი-ქუთაისის გზატკეცილის ახლოს, მდებარეობს. მღვიმემ ეს სახელი „**ჭახათის**“ მთის გამო მიიღო.

ჭახათაში მცხოვრები უხუცესების გადმოცემით, ადრე აქ ტყე ყოფილა. მათ კარგად ახსოვთ, რომ მდებარეობის გამო (მაღლობი და კლდოვანი ადგილია), მოსახლეობას წყლის პრობლემა ჰქონდა: სასმელ წყალს ორიოდე კმ-ის მოშორებით მდებარე ჭიდან ეზიდებოდნენ და ტყესთან სიახლოვის გამო შეშაც ძირითადად იქიდან მოჰქონდათ. ჭახათის განაშენიანება მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ახლომახლო სოფლებიდან ჩამოსული გლეხების ხარჯზე მოხდა; როგორც უხუცესი ადგილობრივები ამბობენ, უბანმა ძველი სახე სწორედ ამის შემდეგ დაკარგა.

ტოპონიმ **ჭახათის** ხალხური ეტიმოლოგია ასეთია: მდინარე წყალწითელას მარჯვენა ნაპირზე 1880-იან წლებში რკინიგზა გაიყვანეს ტყიბულის მიმართულებით, რის გამოც ტოპოგრაფიული ძიებისათვის აქ ჩამოსულები იყვნენ უცხოელები, რომლებსაც ეს ადგილი აუზომავთ და ჩაუხატავთ. ხალხი გაიძახოდა თურმე „**ჩახატესო**“, შემდეგ ამ სახელის პირველი ასო **ჩ** **ჭ**-დ შეიცვალა და „**ჩახატას**“ ნაცვლად „**ჭახათა**“ მივიღეთ.

ეს ვერსია ადგილობრივებში იმდენად პოპულარულია, რომ ლექსიც კი დაიწერა:

„ეს კლდე, ეს მდინარე ბუნებამ დახატა,
ორმა უცხოელმა ადგილი ჩახატა,
გაჭრეს რკინიგზა და

შეარქვეს ჭახათა“ (ნესტორ გოქამე; http://kutaisiskola22.blogspot.com/p/blog-page_2.html).

ტოპონიმ „**ჭახათის**“ მეცნიერული ეტიმოლოგიის სხვადასხვა ვერსია არსებობს:

1. „ჭახათა“ თხზული სახელია: მჭახე + მთა. დროთა განმავლობაში ამ სიტყვებმა ფონეტიკური სახეცვლილება განიცადეს და დამკვიდრდა როგორც „ჭახათა“.

2. „ჭახათა“ ნიშნავს მკვახე, უმწიფარ ხილს (ქათამაძე 2005).

ფაქტია, რომ დღევანდელ ქუთაისურ მეტყველებასა თუ იმერულ დიალექტში სიტყვა **ჭახათა** არანაირი, თუნდაც სავარაუდოდ ამოსავალი, მნიშვნელობით არ დასტურდება.

იმერხევში დიალექტურ ექსპედიციაში (2015) მასალის მოძიების დროს ჩვენი ყურადღება მიიქცია **ჭახატა** ლექსემამ, რომელიც, რესპონდენტის თქმით, ერთმანეთზე სიმალეზე დაწყობილ შემას აღნიშნავდა: „ზამთრისთვის **ჭახატას** ვიჯებოდით“.

ფორმა იმავე მნიშვნელობით დადასტურებული აქვს შ. ფუტკარამე-საც: **ჭახატა** = თაკარა; ერთმანეთზე შემოწყობილი, ზომიერად დალაგებული საგნების სიმრავლე. „გუუკეთებია შემის **ჭახატა**“ (ფუტკარამე 1993).

ჭახადი = გარკვეული წესით დაწყობილი, ვთქვათ შეშა (ზ.აჭარ., შ.ნიჟ.) (დლონტი 1984).

ჭახათი სოფლის სახელია აჭარაში.

ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიურ ლექსიკონში დადასტურებულია ფორმა **ჭახტკარი**, რომელიც შემდეგნაირადაა ახსნილი: **ჭახტკარ**-ი მოზრდილი მამულია სოფ. სონჩოში (მთიულეთი, დუშეთის რ.). ეტიმოლოგია უცნობია. საზღვრულის ფუძის – **კარ**-ის მიხედვით ნავარაუდევია, რომ **ჭახტ**- სიტყვა საზოგადო არსებითი სახელია, დასმული ნარ-თანთან მრავლობითში, რომლის ნიშანი (**თ**) **კარ**- სიტყვის **კ** თანხმოვნის მეზობლობაში ასიმილაციის გზით **ტ** ბგერად ქცეულა: **თკ > ტკ**, ზუსტად ისე, როგორც ეს **ბარტკალ**- და **წყაროტკარებ**- ტოპონიმებში დადასტურდა.

საყრდენ სიტყვად მიჩნეულია მოხეურსა და მთიულურში კარგად ცნობილი სიტყვა **ჩაღდ**-ი (ხალიკ-ი) „საყენად დაწყობილი შეშა“. შემის **ჩაღდები** ედგა ტყეში (ო. ქაჯაია). შეშა კუბიკურ საყენად აგებული; „**ჩაღდი** ჩავდგი“ (ს. ცდო).

ჩაღდი დაკავშირებულია ზემოაჭარულ **ჭახდი**-სთან: „სიტყვა ჩაღდი ჭახდის („დაწყობილი, დალაგებული შეშა“) სახით ზემოაჭარულ დიალექტშიც ცნობილი ყოფილა“. გამოტანილია დაკვნა: „მამასადამე თავდაპირველ ფორმად ჩაღდ-კარი უნდა ვცნოთ, საიდანაც ჯერ ჩახტ-კარი, ხოლო აქედან ასიმილაციური გამკვეთრებით ჩახტ-კარი ჭახტკარი მიგვიღია“ (ბედოშვილი 2002).

უდავოა **ჭახტკარ**-ის მიღება **ჩახტკარ**-ისაგან ასიმილაციური გამკვეთრებით, თუმცა მიგვაჩნია, რომ ამ უკანასკნელის ამოსავლად **ჩაღდ-კარს** ვერ ვივარაუდებთ.

ზემოაჭარული **ჭახადი**, იმერხეული **ჭახატა** და ქუთაისური **ჭახათა** ფორმები ამოსავალ ფუძეში **ღ**-ს არსებობას და **ჩაღდ-თ** ფორმის პირველადობას ვერ გვავარაუდებინებს.

ვფიქრობთ, რომ ყველა ჩამოთვლილი ფორმისა თუ მთიულური **ჭახტკარ**-ისა და **ჩაღდ**-ისათვის ამოსავალია **ჩახ**- ძირი, რომელსაც დაერთვის ნართანთან მრავლობითის **-თა** სუფიქსი.

სავარაუდოდ, ერთი მხრივ, დისიმილაციის შედეგად **ჩახთა** ფორმისგან მივიღეთ **ჩაღთა**; დროთა მანძილზე ამ უკანასკნელში **-თა** სუფიქსი შეზრდია ძირს და ასიმილაციით მიღებული **ჩაღდ**-ი უკვე ერთიან მორფემადაა გააზრებული; ამას ადასტურებს ჩაღდები ფორმა: **ჩახ-ი > ჩახ-თა > ჩაღ-თა > ჩაღდ- > ჩაღდ-ებ-ი**.

მეორე მხრივ, დისიმილაციური გამკვეთრებითა და **ხთ** კომპლექსში **ა** ხმოვნის ჩართვით მივიღეთ ქუთაისური **ჭახათა**: **ჩახ-თა > ჭახთა > ჭახათა**.

იმერხეულში **ჭახათა** ფორმამ ასიმილაციური გამკვეთრებით მოგვცა **ჭახატა**.

ზემოაჭარული **ჭახადი/ჭახდი** ფორმა **ხთ** კომპლექსის დისიმილაციითა და **ა** ხმოვნის ჩართვითაა მიღებული.

რამდენადაც ქუთაისურ მეტყველებაში (შესაბამისად, იმერულში), ზემოაჭარულში, იმერხეულში, მთიულურშიც ერთნაირად დასტურდება **ჭახ**- ძირი, ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოხეური და მთიულური **ჩაღდ**-ისათვის ამოსავალი სწორედ **ჭახთა** ფორმაა და არა პირიქით? ფონეტიკური თვალსაზრისით ასეთ პროცესს ხელს არაფერი შეუშლიდა.

აქ მივადექით სწორედ ამ სიტყვათა სავარაუდო ეტიმოლოგიის საკითხს.

სულხან-საბასთან დადასტურებულია **ცახი // ჩახი** ფორმები. ეს ფორმები ZABCხ ვარიანტებში გაიგივებულია (ცახი = ჩახი); Cab CD ვარიანტებში **ცახი** ახსნილია, როგორც კონაი კაჭაჭთა, CD ვარიანტებში – როგორც საბოჟე კონა; ZAB ვარიანტებში **ჩახი** არის საჭიე კონა ბოჟისათვის (ორბელიანი 1993).

კაჭაჭი, თავის მხრივ, საბას განმარტებითვე არის „წმელი შამბის ღერო“, ბალახი (ZABE), ხოლო ბოჟი – „ახალი ყაჭის პარკი“ (ZAB), იგივე „ყაჭის უმი პარკი“ (C) (იქვე).

დღეს **ცახ**-ი ინგილოურში ეკლიანი შამბია, გურულსა და ქართლურში – აბრეშუმის ჭიისათვის გაკეთებული საპარკე, რომელიც კეთდება უფრო გვირის (ჩადუნის) ხმელი ფოთლებისაგან ანდა ცოცხი ან ფიჩხი, რაზედაც აბრეშუმის ჭია პარკებს აბამს (დლონტი 1984).

იმავე მნიშვნელობით **ცახი** მეგრულშიც დასტურდება: „ცახი – ცხავი აბრეშუმის ჭიისათვის; ცოცხი, თუთის ფოთლებშემხმარი ტოტი ან მაღალი ბალახის კონა, რომელსაც აბრეშუმის ჭიას უდებენ ზედ პარკის გასაკეთებლად“ (ქობალია 2010).

ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიულ ლექსიკონში **ცახი** არის „მეაბრეშუმეობაში გამოყენებული სხვადასხვა ხის ტოტებისაგან ან ბალახოვანი მცენარეებისაგან (გვიმრა, ჯაგრცხილა, სატაცური, გვირილა, ღომის ჩალა, მინდვრის ცოცხა და სხვ.) შეკრული კონები. იხმარებოდა ჩელტებიდან მეოთხე ასაკის აბრეშუმის ჭიის გასათავსებლად. ცახის ცოცხზე ზრდადამთავრებული აბრეშუმის ჭია იწყებდა პარკის ახვევას. დახვეული ცახიდან მოცილებული პარკები დაირჩეოდა და დახარისხდებოდა“ (არჩვაძე... 2011).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, **ცახ**-ი არის ბალახეულის კონა ან ფოთლებიანი ფიჩხი, რომელსაც უდებენ აბრეშუმის ჭიას პარკის გასაკეთებლად (ქეგლ).

ცახი სოფლის სახელია ამბროლაურის მუნიციპალიტეტში.

ჩახი ალ. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონში“ განმარტებულია, როგორც ნაკრავი. ეს იმავე „კონას, შეკონილს“ ნიშნავს (ნეიმანი 1978).

ჩახა მეგრულში არის „საყელო, ყელზე შემოსახვევი, შემოსავლები“ (ქობალია 2010).

ჩახი ტბის სახელწოდებაცაა მესტიაში.

როგორ შეიძლება შინაარსობრივად დავუკავშიროთ **ცახი / /ჩახი** „კონა“ ფორმები **ჭახათა**-ს.

ქუთაისის **ჭახათა**, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნატყევარი, მაღლობი და კლდოვანი ადგილია.

ზემოთ ნახსენებ სოფ. ცდომი თურმე ყოფილა სამოვარი მამული, რომელსაც **საჩაღდე ქედი** ეწოდება. ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით, აქ ადრე ტყე მდგარა. „მოჭრილ შეშას ამ ქედზე აგებდნენ თოვლის მოსვლამდე, ხოლო შემდეგ თოვლზე დააცურებდნენ. ასე აგებულ შეშას მოხეურად ეწოდება ჩაღდი. ხოლო ადგილს, სადაც ჩაღდები იდგა, შეარქვეს საჩაღდე ქედი“ (ბედოშვილი 2002).

დიდი ალბათობით, **ჭახათასთან** ახლოს (შეიძლება შორსაც!) მცხოვრებნი, მოხევეთა მსგავსად, შეშას ზაფხულში სწორედ ტყეში

აწყობდნენ და ზამთარში თოვლზე აცურებდნენ. ასე დაწყობილ-დამარაგებულ შემას (რამდენადაც ადგილი მაღლობი და კლდოვანი იყო) შეკონვაც დასჭირდებოდა. ვუშვებთ, რომ შესაკონად იყენებდნენ **ჩახებს // ცახებს** – სხვადასხვა ხის ტოტებისაგან ან ბალახოვანი მცენარეებისაგან (მაგ., ხმელი შამბის) გამზადებულ კონებს და იოლად დასაცურებლად ასე შეკონილ შეშებს აწყობდნენ ერთმანეთთან მჭიდროდ მიკრულ **ჩახებზევე** (//კონებზე). გამოდის, რომ ეს იყო ადგილი ჩახებზე დაწყობილი, ჩახებითვე შეკრულ-შეკონილი ხეებისა, შეშისა, მარტივად – კონებისა, ანუ **ჩახთა // ცახთა**, რომლისგანაც მივიღეთ **ჭახათა**. შდრ.: იმერეთში დღესაც ჩვეულებრივ იყენებენ საზღვრულგაუჩინარებულ ფორმებს: ყანაში კონები მაქვს, ამდენი კონა შევკონე... და მსგავს წინადადებებში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ **ჭახათა** იყო ჩახებზე დაწყობილი, ჩახებითვე შეკონილი შეშის, მოკლედ – კონების, იმავე **ჩახ-ებ-ის // ცახ-ებ-ის** ანუ **ჩახ-თა // ცახ-თა** ადგილი, რომლის სახელიც, ამ ადგილის განაშენიანებისა და ქალაქის ნაწილად ქცევის შემდეგ, უბნის ტოპონიმად დარჩა.

ასევე აიხსნება აჭარის სოფლის (**ჭახათი**) სახელწოდებაც, რომელიც ქუთაისში არსებული ტოპონიმის (**ჭახათა**) მსგავსად, საკმაოდ მაღლობ და კლდოვან ადგილზეა გაშენებული.

რაც შეეხება ზემოაჭარულ **ჭახადი**, იმერხეულ **ჭახატა** და მთიულურ **ჩადი** ფორმებს:

პირველ ორ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ მოიაზრება არა მხოლოდ შეშის, არამედ ყველანაირი საგნის სიმრავლე, რომლებიც გარკვეული წესით არის სიმალლეზე დაწყობილი, შესაბამისად, იქაც საზღვრულდაკარგული შეკონილი საგნების სიმრავლე უნდა ვივარაუდოთ.

მთიულურში კი, როგორც ჩანს, **ჩახნი** (იგივე კონები) საზღვრულად ძირითადად შემას მიემართებოდა და იყო ადგილი „**ჩახთა შეშათა**“, დროთა განმავლობაში საზღვრულდაკარგული და ფონეტიკურად სახეცვლილი **ჩახ-ი > ჩად-ი // ჩადები** ფორმებმა მხოლოდ „საყენად დაწყობილი შეშის“ სემანტიკა მიიღო.

ზემოთ განხილული ფორმებისათვის საერთოა ის, რომ ყველგან დავიწყებული და დაბნელებულია ნავარაუდები მნიშვნელობა **ჩახი // ცახი** სიტყვისა – „კონა“.

ჩვენი ვარაუდით, იგივე მნიშვნელობა შეიძლება ვიგულისხმოთ **ჩახ-** ძირში ტოპონიმში **მა-ჭახ-ელ-ა**.

საინტერესოა საბასეული **ცახი//ჩახი** პარალელური ფორმებიდან რომელი შეიძლება მივიჩნიოთ ამოსავალ, თავდაპირველ ფორმად?

რამდენადაც **ჩახ-** ძირი მხოლოდ მოხეურსა და მთიულურში დასტურდება, სხვაგან კი გვაქვს **ჭახ-** და **ცახ-** ძირები, შეიძლება ამოსავალი **ცახ-** იყოს. შდრ., 1. მ. ჩუხუას განხილული აქვს ქართლურსა და გურულში დადასტურებული **ცახ-ი** ფორმა, რომელსაც „საპარკესთან“ ერთად უდასტურებს „მცირე პარკის“ მნიშვნელობასაც, უკავშირებს მას საბასეულ **ცახე-** და ზანურ **ჩახე-** ფორმებს და ფონეტიკური ტრანსფორმაციებით აღადგენს ს.-ქართველურ ***ცახ-**ს „საპარკე, მცირე პარკი, ტომრის“ მნიშვნელობით: ს.-ქართველურ ***ცახ-** > ქართ. **ცახ-ი // ცახ-ე** : ზან. **ჩახე-** < ***ჩახ-** < ***ჩახ** (ჩუხუა 2000-2003). 2. სულხან-საბასთან **ცახი // ჩახი** მხოლოდ კონის (და არა მცირე პარკის!) მნიშვნელობით გვხვდება. ამასთან ის მკვეთრად

მიჯნავს ცახი-სა და ცახე-ს და პირდაპირ წერს: ცახე არს რომელსა სახლსა შინა შეადგეს შუქი მზისა, რომელსა შინა იხილვების ვითარცა მტვერი (+ ხოლო ცახი – კონაი კაჭაჭთა Cab) CD; ცახე არს რა მზის შუქი სახლთა შინა შედგეს, მას შინა იხილვებიან ვითარცა მტვერი აღმავალი, – მას მცირეს ეწოდება B (ორბელიანი 1993).

შემდგომ მუშაობასა და დაკვირვებას მოითხოვს განხილული ფორმების შედარება ზემოვანურ წყად „კონა – კანაფის ღეროებისა“ და ჭყაჭურ „კონა კანაფის კანისა“ ფორმებთან (თოფურია 2000).

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- აბესაძე 1957:** აბესაძე ნ., მეაბრეშუმეობა საქართველოში. თბილისი, 1957.
- არჩვაძე... 2011:** ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი = Ethnographic dictionary of the georgian material culture = Das ethnographische Lexikon der georgischen materiellen Kultur = Le dictionnaire ethnologique de culture materielle = Этнографический словарь грузинской материальной культуры. საქ. ეროვნული მუზეუმი [პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ე.ნადირაძე; რედაქტორი რ.მეტრეველი; ავტორ-შემდგენელი: გ. არჩვაძე, მ. ბოკუჩავა, თ. გელაძე და სხვ.]. თბილისი, 2011.
- ბედოშვილი 2002:** ბედოშვილი გ., ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი I, თბილისი, 2002. <http://www.ice.ge/liv/liv/toponim1.php>. დამოწმება: 15.05.2021.
- ზიბზიბაძე 2005:** ზიბზიბაძე თ., ჭახათა. გაზეთი „ახალი გაზეთი“, 2005, 5-11 სექტემბერი.
- თოფურია... 2000:** თოფურია ვ., ქალდანი მ., სვანური ლექსიკონი. თბილისი, 2000. <http://www.ice.ge/liv/liv/svanur1.php> დამოწმება: 08.05.2021.
- ნეიმანი 1978:** ნეიმანი ალ., ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. თბილისი, 1978.
- ორბელიანი 1993:** ორბელიანი ს.-ს., ლექსიკონი ქართული, ტ. II. თბილისი, 1993.
- ფუტკარაძე 1993:** ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი. ბათუმი, 1993.
- ქათამაძე 2005:** ქათამაძე ნ., ჭახათა. გაზეთი „ბადის კიდე“, 2005, 3 ნოემბერი.
- ქეგლ:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი <http://ena.ge/explanatory-online>. დამოწმება: 15.05.2021.
- ქობალია 2010:** ქობალია ა., მეგრული ლექსიკონი, <https://www.ice.ge/liv/liv/megr.php>. დამოწმება: 10.05.2021.
- ღლონტი 1984:** ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. თბილისი, 1984.
- ჩუხუა 2000-2003:** ჩუხუა მ., ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი. თბილისი, 2000-2003.
- იმერხელი მასალა:** ჩაწერილია იმერხევეში (შავშეთის რაიონი, თურქეთი) დიალექტური ექსპედიციების პერიოდში (2015); ინახება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებულ ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში.
- http://kutaissiskola22.blogspot.com/p/blog-page_2.html დამოწმება: 08.05.2021.